



საზოგადოებრივი
მენეჯმენტი

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის
საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის - პირველი არხის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების შეფასება

„მოამბე“ 21:00

შეფასების პერიოდი

ანალიზი ეყრდნობა 25.09.2020-25.10.2020 პერიოდი

შეფასების კრიტერიუმები

- ობიექტურობა
- თანაბარი დროის გამოყოფა
- მიუკერძოებლობა

სისტემატურობა და ობიექტურობა

ყველა პოლიტიკური პარტიის, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი აქტიურობის სისტემატური გაშუქება საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, სუბიექტები პირდაპირ ესაუბრონ საქართველოს მოქალაქეებს, მეორე მხრივ, ირიბი გაშუქებით, პირველი არხი ახდენს მაყურებლის ინფორმირებას არსებული სუბიექტების საქმიანობასა და განცხადებებზე.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის აქტივობების გაშუქება არ შეიძლება აღიქვას და შეფასდეს მათ მიმართ არხის ლოიალურ მიდგომად, ვინაიდან მთავრობას სახელმწიფო მართვის ფუნქცია აკისრია, საზოგადოებრივ მაუწყებელს კი კანონით აქვს დაკისრებული მოსახლეობის ინფორმირება. განსაკუთრებით, როდესაც ისეთ აქტუალურ საკითხებს ეხება, როგორცაა ეპიდემიოლოგიური ვითარება და ახალი რეგულაციები, პრემიერ მინისტრის გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, აზერბაიჯანთან საზღვრის დემარკაციის საკითხი და სხვა.

ამასთან, სუბიექტს თუ სუბიექტების ჯგუფს შეუზღუდავად ეძლევათ საშუალება, პოზიტიურად ან ნეგატიურად შეაფასონ ნებისმიერი პოლიტიკური მხარე, ისევე როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელი, რისი კლასიკური მაგალითიცაა „გირჩის“ საზოგადოებრივი მაუწყებლის იდგის ყოველდღიური ანტი-რეკლამა. მიუხედავად პოლიტიკური სუბიექტის პოზიციისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი იცავს კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს.

შედეგი: პირდაპირი გამოსვლები და მათი საქმიანობის ანგარიში საშუალებას იძლევა, საქართველოს მოქალაქეებმა, პირველი არხის მაყურებელმა დამოუკიდებლად შეაფასოს როგორც ხელისუფლება, ისე საარჩევნო აქტორების საქმიანობა.

ინდივიდუალური მიდგომა

დამატებით, ყოველდღიურად ხდება, დროის გამოყოფა ინდივიდუალურად კონკრეტული პოლიტიკური პარტიებისთვის - 5 წუთი, რომელიც დაყოფილია ორ ნაწილად - ინტერაქტიული და წარდგენითი. ეს მაყურებელს საშუალებას აძლევს, მოისმინოს სუბიექტის პასუხი აქტუალურ კითხვაზე და გაეცნოს მის პოლიტიკურ პროგრამას. საზოგადოებრივი მაუწყებელი დროს უთმობს როგორც კვალიფიციურ, ისე არაკვალიფიციურ სუბიექტებს, ასევე მცირე რესურსის მქონე პარტიებს (არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიებისთვის საეთერო დროის დათმობას კანონი საზოგადოებრივ მაუწყებელს არ ავალდებულებს), რომლებიც 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობენ, რაც, სრულ პოლიტიკურ წარმომადგენლობასა და მოსახლეობის ინფორმირებას უზრუნველყოფს.

შედეგი: იმ პირობებში, როცა ხდება თითქმის ყველა საარჩევნო სუბიექტის სისტემატური გაშუქება, ინდივიდუალურად დათმობილი დრო მაყურებელს საშუალებას აძლევს, გააკეთოს ფოკუსირება კონკრეტულ სუბიექტზე და შეაფასოს მისი პროგრამა სხვა პროგრამებისგან დამოუკიდებლად; ეს დამატებით აუმჯობესებს ამომრჩევლის გადანყვეტილების ხარისხს (ინდივიდუალური პროგრამის შეფასება არსებულ პირობებში და არა ყველა პროგრამის თანმიმდევრობით მოსმენა, რაც შედარებითი ანალიზის საშუალებას იძლევა).

წამყვანების პირადი მიდგომა და დამოკიდებულება

საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტები და წამყვანები ინარჩუნებენ არაემოციურ, ნეიტრალურ მიდგომას, ერთსა და იმავე ტონს, გამოირჩევიან ეთიკური ლექსიკით.

შედეგი: ეს იძლევა საშუალებას მაყურებელმა გააკეთოს ფოკუსირება ინფორმაციაზე, და არა წამყვანსა თუ ჟურნალისტზე და ირიბად მოექცეს წამყვანის (ზოგადად მაუწყებლის) გავლენის ქვეშ.

დაფარვის არეალი

ჯგუფური დაფარვა:

საზოგადოებრივი მაუწყებელი ყოველდღიურად წარმოაჩენს ყველა აქტიურ და მონაწილე:

- პოლიტიკურ სუბიექტს ან სუბიექტთა ჯგუფს/ორგანოს
- სამთავრობო სექტორის წარმომადგენელს ან წარმომადგენელთა ჯგუფებს/ორგანოს
- არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელს ან წარმომადგენელთა ჯგუფებს/ორგანოს
- საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენელს ან წარმომადგენელთა ჯგუფებს/ორგანოს

დრო და სივრცე ეთმობა ყველაზე აქტუალურ საკითხით დაკავებულ სუბიექტს ან სუბიექტთა ჯგუფს, რომელიც თანახმაა და მზად არის მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში.

გეორგაფიული დაფარვა:

- დედაქალაქი
- რეგიონები
- მეზობელი ქვეყნები
- მსოფლიო

შედეგი: ეს იძლევა საშუალებას მაყურებელმა გააკეთოს ფოკუსირება ამა თუ იმ რეგიონში ყველაზე აქტიურ თემებსა და მონაწილეებზე.

განაწილებული დრო

წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამების დრო თანაბრად არის გამოყოფილი ყველა პოლიტიკური პარტიისთვის. თუმცა თითოეული პოლიტიკური პარტიის მიერ მოწოდებული რეკლამის ხანგრძლივობა განსხვავებულია, შესაბამისად, სარეკლამო რგოლები მეორდება, რაც კეთდება პოლიტიკური პარტიებისთვის კანონით გამოყოფილი კუთვნილი დროის ათვისების მიზნით.

საარჩევნო პროცესის მონაწილეების აქტიურობა რეგულარულად და თანამიმდევრულად შექცდება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მისამართით ხშირად დასმული კითხვები

- *მართებულია თუ არა მოამბის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროგრამის კვალიფიციური თუ არაკვალიფიციური სუბიექტების შესახებ, ხშირ შემთხვევაში ქართული ოცნების ბოლოში გაშუქება?*
 - ✓ როგორც მმართველი და ხშირად გაკრიტიკებული პარტია, მათ მიმართ ხშირია განცხადებები, რაც უსუსხს საჭიროებს. მათი გადაცემის ბოლოში გაშვება თანამიმდევრობის საკითხია და, ჟურნალისტური სტანდარტის შესაბამისად, - კრიტიკის ბრალდების ადრესატს ბოლოს ეძლევა უსუსხის გაცემის საშუალება.
- *საკმარისი ყურადღება ეთმობა თუ არა სამთავრობო, არასამთავრობო, თუ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ან წარმომადგენლის მიერ გამახვილებულ თემებს?*
 - ✓ საზოგადოებრივი მაუწყებელი თანაბრად გამოყოფს დროს ყველა პოლიტიკური პარტიისთვის (რეკლამების სახით და ასევე, ყოველდღე 5 წუთი ინდივიდუალურად საარჩევნო სუბიექტებისთვის) და აშუქებს ყველა აქტუალურ

საკითხებზე ფოკუსირებულ მხარეს, რომელიც მზად არის პირდაპირი ან ირიბი გაშუქებისთვის. ხდება ფოკუსირება წინასაარჩევნო აქტორ სუბიექტზე ან სუბიექტთა ჯგუფზე, დანარჩენის გაშუქება დამოკიდებულია თემის აქტუალობაზე და განხორციელებულ საქმიანობაზე.

- ✓ დამატებითი, ინდივიდუალური სიუჟეტის გაშუქება დამოკიდებულია მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებზე და მზაობაზე. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებში 1.2 განსაზღვრულია: „მაუწყებლის სტრატეგიული მიზანია, მიანოდოს საზოგადოებას ის მედიამომსახურება და პროდუქცია, რაც მომხმარებლებს და მთლიანად საზოგადოებას პირველ რიგში სჭირდება...“ ასევე ასახოს მიმდინარე მოვლენები და ყველა მხარეს მისცეს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება.

სტატისტიკა და ანგარიშები

პრაიმ თაიმში „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშის (1.09.20 - 10.10.20)

მიხედვით:

ცხრილი¹ #1

(ცხრილი #1 - საარჩევნო სუბიექტები (გამომსვლელთა) დათმობილი დროის და პროცენტული გადანაწილების მიხედვით)

საარჩევნო სუბიექტები	დათმობილი დრო	%
ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია	1:02:48	13.14%
ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	1:01:40	12.90%
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	1:01:04	12.78%
ლელო - მამუკა ხაზარაძე	0:30:23	6.36%
ბლოკი ვიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	0:24:50	5.20%
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0:20:35	4.31%
ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის	0:17:38	3.69%
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	0:16:30	3.45%

¹ აღებულია პრაიმ თაიმში „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშიდან

ამ ცხრილში მოცემულია პოლიტიკური პარტიების მიერ განხორციელებული გამოსვლები და მათთვის დათმობილი დრო.

- საარჩევნო სუბიექტების (გამომსვლელების) პროცენტული მაჩვენებლებით 3 პარტია ლიდერობს ერთმანეთს ძალიან მიახლოებული: 13,14%, 12,90% და 12,78%-ით, რაც, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ თანაბარი დროის გადანაწილების მაჩვენებელია 3 ყველაზე აქტიურ პოლიტიკურ სუბიექტს შორის. ასეთი მაღალი მაჩვენებელი გამომდინარეობს პოლიტიკური პარტიების აქტიურობიდან.
- ცხრილში შემდგომი (მე-4, მე-5, მე-6) სუბიექტების მაჩვენებლები იცვლება 6.36%, 4,20%, 4,31%-დან 0.03%-მდე; ყველაზე დიდი განსხვავება 1,16%-დან, ყველაზე პატარა 0.05%-მდე. ხოლო, ცხრილში 3-დან 4-ზე პოზიციაზე 6,38% ვარდნა სუბიექტისთვის დათმობილ დროში გამომდინარეობს თავად პოლიტიკური სუბიექტის აქტიურობაზე და მათ გარშემო შექმნილ აქტუალობაზე.

²ცხრილი #2

- ირიბი გაშუქების დროით ლიდერობენ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 1 საათი, 36 წუთი, 55 წამი და საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 1 საათი, 22 წუთი, 59 წამი.
- სხვაობა - 13 წუთი და 54 წამი, გამონეუელია ძირითადად იმ ფაქტორით, რომ ქართული ოცნება, გარდა პოლიტიკური აქტორის სტატუსისა, ამავდროულად წარმოადგენს მთავრობას; და საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს ვალდებულება, გააშუქოს მთავრობის საქმიანობა. გაშუქების დროში აღნიშნულიდან გამომდინარე იკვეთება გარკვეული სხვაობა.

² აღებულია პრაიმ თაიმში „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშიდან

(ცხრილი # 2 - საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მიხედვით)


საარჩევნო სუბიექტები	პირდაპირი	ირიბი
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	1:01:04	1:36:55
ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია	1:02:48	1:22:59
ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	1:01:40	0:32:15
ლელო - მამუკა ხაზარაძე	0:30:23	0:18:41
ბლოკი გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	0:24:50	0:14:16
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0:20:35	0:12:37
დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0:13:59	0:10:18
ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის	0:17:38	0:06:16
ჩენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	0:16:30	0:07:21
თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)	0:12:59	0:08:51
ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა	0:14:35	0:05:26
არჩევანი სამშობლოსათვის	0:10:13	0:04:13
თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის	0:05:18	0:08:39
ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია	0:08:28	0:02:42

3 გრაფიკი #2

საინტერესოა პირდაპირი და ირიბი გაშუქების შეფარდებითი კოეფიციენტი, რაც ნაწილობრივ ხსნის მათთვის სრულად დათმობილ დროს.

(გრაფიკი # 2 - საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროცენტული გადაწონილება. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროპორციულად)

პირდაპირი და ირიბი გაშუქება



3 აღებულია პრაიმ თაიმში „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშიდან

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ და „ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ პირდაპირი/ირიბი გაშუქების კოეფიციენტი მიახლოებით 2:3-ზე არის, ხოლო დანარჩენი პარტიებისთვის - მიახლოებით 3:2-ზე, და ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში მიახლოებით 3,5:1,5-ზე.

ეს სტატისტიკა ხაზს უსვამს ორ მნიშვნელოვან ფაქტს:

1. ცხადი ხდება, რომ თითოეულ პარტიას განსხვავებული მიდგომა აქვს არჩეული - მეტი პირდაპირი გამოსვლა, კრიტიკა, პასუხი სხვებს თუ მეტი აქტივობები, რაც განსაზღვრავს მათ პირდაპირ და ირიბ გაშუქებას.
2. ყველა პარტიის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი აქტივობა შუქდება (აღსანიშნავია, რომ პარტიებისთვის დათმობილი დრო განსხვავდება, რისი მიზეზიც ზოგ შემთხვევაში არის მათი აქტიურობა, ასევე მმართველი ხელისუფლების მიერ ქვეყნის ყოველდღიური ფუნქციების შესრულების გაშუქება).

მონვეული საარჩევნო სუბიექტები

1.09.20-10.10.20 პერიოდში „მოამბემ“ მთავარ გამოშვებაში 23 პოლიტიკური პარტია მოიწვია, რომელთაგან 2 პარტიამ საერთო დრო თვითონ არ გამოიყენა.

10.10.20-30.10.20 პერიოდში „მოამბემ“ მთავარ გამოშვებაში 27 პოლიტიკური პარტია მოიწვია, რომელთაგან 7 პარტიამ საერთო დრო თვითონ არ გამოიყენა. 50 პოლიტიკური პარტიის მონვევა პირდაპირ ეთერში, წინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური სპექტრის სრულ წარმომადგელობას სთავაზობს მაყურებელს.

4ცხრილი 5#

⁴ აღებულია პრაიმ თაიმში „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშიდან

არასაარჩევნო სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქება ასევე მნიშვნელოვან სტატისტიკას გვაძლევს.

(ცხრილი #5 მოწოდებულია არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მიხედვით)

პირდაპირი და ირიბი გაშუქება	პირდაპირი	ირიბი
მთავრობა	1:59:04	2:22:09
საერთაშორისო ორგანიზაციები	0:26:24	1:00:24
ცესკო	0:18:48	0:37:11
პარლამენტი	0:24:01	0:17:19
ადგილობრივი თვითმმართველობები	0:17:50	0:18:06
პრეზიდენტი	0:09:11	0:04:25
არასამთავრობო ორგანიზაციები	0:05:42	0:05:15

- მთავრობაზე, როგორც მთავარ სახელმწიფო აქტორზე, პირდაპირი და ირიბი გაშუქების დრო მიახლოებულია ერთმანეთს, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი, არა მარტო ქართული ოცნების წარმომადგენლების პირდაპირ გამოსვლებს აშუქებს, არამედ, ასევე ხდება მათი, როგორც მთავრობის, აქტივობების ვრცელი დაფარვა; ეს კი, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საქართველოს მოსახლეობის სრული და ხარისხიანი ინფორმირება და, მეორე მხრივ, კანონით მინიჭებული ვალდებულებაა.
- ასევე ვრცლად არის წარმოდგენილი საერთაშორისო ორგანიზაციების ირიბი (ერთი საათი) და პირდაპირი გაშუქება (ოცდაექვსი წუთი)
- ცესკოს რეგულარულად აქვს პირდაპირი გაშუქება წინასაარჩევნო პერიოდში, და ორჯერ მეტი დრო მათ ირიბ გაშუქებაზე იხარჯება, რაც, ერთი მხრივ უზრუნველყოფს სიყბადეს და გამჭვირვალობას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში და, მეორე მხრივ, შეფასების საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს და სხვა საარჩევნო, პოლიტიკურ თუ საერთაშორისო აქტორებს.
- დანარჩენი არასაარჩევნო სუბიექტებისთვის დრო შედარებით ნაკლებია და დამოკიდებულია მათ მიერ ან მათ გარშემო შექმნილ აქტიურობაზე.

დებატები

შეფასების პერიოდი: 1 ოქტომბერი - 22 ოქტომბერი

შეფასები კრიტერიუმები:

- ობიექტურობა
- თანაბარი დროის გამოყოფა
- კორექტულობა
- მიუკერძოებლობა

შეფასება

წარდგენა და წესების ახსნა

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების წარდგენის შემდეგ ხდება წესების ცხადი ახსნა მონაწილეებისთვის, რათა მათი მონაწილეობა იყოს კონსტრუქციული და თანმიმდევრული.

მოკლე დებატების ინიციატა და მოდერაცია

წამყვანის მიერ ხდება ერთ-და ორწუთიანი დებატების შეკითხვით ინიციატა, რაც ამცირებს წარდგენილი პოლიტიკური კანდიდატის მიერ თემის ჩარჩოდან გასვლის შანსს.

ასევე მართვისა და კორექტულობისთვის ხდება გადაცემის წესების და ჩარჩოს შესწავლა თითოეული კანდიდატისთვის მათთვის გამოყოფილი დროის დასაწყისში, რაც დამატებით ამცირებს წარდგენილი პოლიტიკური კანდიდატის მიერ თემის ჩარჩოს გაცელების შანსს.

წამყვანის კომენტარები და მოწოდება

იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი გასცდა კორექტულობის ან თემის ჩარჩოს, წამყვანი მოუწოდებს, რომ ფოკუსი და კორექტულობა შეინარჩუნონ.

წამყვანის როლი

ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს, მშვიდ და განონასწორებულ ტონს.

ტექნიკური კონტროლი

იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი გასცდა მისთვის გამოყოფილ დროს, ხდება მიკროფონის გათიშვა, რაც დამატებით უზრუნველყოფს კანდიდატის კონსტრუქციულ მონაწილეობას.

დებატების წამყვანის როლის დელეგირება

კანდიდატებს ეძლევათ შანსი, მათთვის სასურველ საკითხზე თავად მოახდინონ დებატების ინიციატორი - შეკითხვა სხვა პოლიტიკური კანდიდატისადმი. ეს თითოეულ კანდიდატს ინდივიდუალურ ასპარეზსაც აძლევს, რათა უკეთესად წარმოჩინდეს მაყურებელთან.

შედეგი და მოლოდინი

იმ ფონზე, როცა საქართველოში დიდია პოლიტიკური პოლარიზება და რადიკალურობა, ეს გადაცემა ქმნის მშვიდ, განონასწორებულ და კონსტრუქციულ პლატფორმას, სადაც მონაწილე პოლიტიკური აქტორები შესაბამისი წესებით მონაწილეობენ; ასევე, ეს ქმნის კონსტრუქციული პოლიტიკის პრეცედენტს ისე, როგორც პოლიტიკური აქტორის, ასევე მაყურებლის ცნობიერებაში, რაც წარმოქმნის უფრო მეტი კონსტრუქციული პოლიტიკის მოთხოვნას საქართველოს მოქალაქეების მხრიდან.

შეფასება

გადაცემა დაყოფილია მოკლე, ადვილად მართვად თანასწორ მონაკვეთებად. ასევე ხდება წამყვანის მიერ არაემოციური მართვა და კომენტარი. მთლიანობაში გადაცემა ადვილად ინარჩუნებს კონსტრუქციულ სახეს და თანასწორ ასპარეზს აძლევს ყველა მონაწილე პოლიტიკურ პარტიას. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ხდება ჩარჩოს გაცდენა, მაგრამ სიტუაციას კონტროლს უბრუნებს წამყვანი კომენტარისა და მოწოდების სახით.

აღნიშნული ფორმატი მაყურებელს საშუალებას აძლევს, თავად შეათვალოს პოლიტიკური პარტიის გამოსვლა ეთერში და დამოუკიდებლად გააკეთოს არჩევანი.

საქართველოს რადიო

საქართველოს რადიომ, პროექტის არჩევნები 2020-ის ფარგლებში დღის პრაიმ თაიმში დრო დაუთმო ყველა რეგისტრირებულ პოლიტიკურ სუბიექტს - თითოეულ მათგანს 10 წუთი.

30 სექტემბრიდან-20 ოქტომბრამდე პერიოდში:

- პრეზენტაცია გამართა 43-მა სუბიექტმა (13 კვალიფიციური და 30 არაკვალიფიციური)
- პროექტში მონაწილეობაზე უარი თქვა 7-მა სუბიექტმა (4 კვალიფიციური და 3 არაკვალიფიციური)
- 9 საარჩევნო სუბიექტი **პირველი არხის** წილისყრაში მონაწილეობდა, თუმცა შემდეგ ცესკომ მათი რეგისტრაცია გააუქმა.

საბოლოო შეფასება

საზოგადოებრივი მაუწყებელი -

- მიუკერძოებლად აშუქებს წინასაარჩევნო კამპანიას, ამომრჩეველს აწვდის ფაქტზე დაფუძნებულ ინფორმაციას;
- ამომრჩეველს აწვდის ინფორმაციას პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების საარჩევნო პროგრამებთან და დაპირებებთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოფს წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას;
- საინფორმაციო პოლიტიკა არ გამოხატავს მიკერძოებულ დამოკიდებულებას არც ერთი პოლიტიკური პარტიის მიმართ;
- საინფორმაციო გამოშვებებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბების გაშუქების დროს დაცული იყო ეთიკური სტანდარტები და ბალანსი;
- საარჩევნო სუბიექტების, პოლიტიკური პარტიების აქტივობა შექცებოდა ნეიტრალურად;
- აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი საეთერო დროს უთმობს მცირე რესურსის მქონე პარტიებსაც, რაც უზრუნველყოფს სრული პოლიტიკური სპექტრის წარმოჩენას;
- ამ ეტაპზე საზოგადოებრივ მაუწყებელში არ შესულა საჩივარი. რაიმე სახის დარღვევის ან შეზღუდვის თაობაზე.

